



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 9 აგვისტო

დისციპლინური საქმე №123/22
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 11 ივლისის №123 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 12 ივლისის №404/123-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი და პაექრობის ეტაპზე დაავალა მას მოთხოვნის ტრანსფორმირება, რაზეც უარი განაცხადა, რის შედეგადაც მოსამართლემ საქმის წარმოება შეწყვიტა დაუშვებლობის მოტივით.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით მის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე მიიღო დაუსაბუთებელი უარი, მიუხედავად იმისა, რომ იგივე საქმეს იგივე მოსამართლე განიხილავდა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2017 წლის 6 ოქტომბერს --- სასამართლოს მიმართა სარჩელით --- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ --- რაიონის გამგეობის დადგენილების და კომისიის სხდომის ოქმის არარა ადმინისტრაციულ აქტებად აღიარების შესახებ.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა 10 დღიანი ვადა მის შესავსებად. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისად განსაზღვროს მოპასუხეთა წრე, ასევე, წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადით. აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

2017 წლის 30 ოქტომბერს მოსარჩელის მიერ წარდგენილი იქნა განცხადება ვადის გაგრძელების უსაფუძვლობასა და მოსამართლის აცილების შესახებ. 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით აცილების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2.2. აღნიშნული განჩინება მოსარჩელემ 2017 წლის 4 დეკემბერს გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმე 2017 წლის 30 ოქტომბრის განცხადების, კერძოდ ხარვეზის შევსების განცხადების ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.3. -- -- სასამართლოს 2018 წლის 5 მარტის განჩინებით სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში. 2021 წლის 17 თებერვალს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2021 წლის 29 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მხრიდან მოსარჩელისთვის მოხდა მოთხოვნის ტრანსფორმაციის შეთავაზება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების თაობაზე, შეწყდა წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო.

2.4. აღნიშნული განჩინება -- -- 2022 წლის 7 მარტს გაასაჩივრა კერძო საჩივრით -- სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა -- -- სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის,

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრას და მასში მოსამართლის ჩართულობის ხარისხს, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის მხოლოდ ტრანსფორმირებაში.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა სარჩელის ტრანსფორმირება. კერძოდ, ნაცვლად გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების არარა აქტებად აღიარებისა, მოთხოვნილი ყოფილიყო მათი ბათილად ცნობა. ასევე, განმარტებულ იქნა ის სამართლებრივი შედეგი, რაც მოჰყვებოდა მოთხოვნის ტრანსფორმაციაზე უარს. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელე -- -- კვლავ უცვლელად დატოვა თავისი სასარჩელო მოთხოვნები.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 11 ივლისის №123 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №123 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი